

ნათია ზედგინიძე \*

## 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკურ პარტიათა ქცევის კოდექსის შემუშავებისა და ქმედუნარიანობის საკითხები

### აბსტრაქტი

არჩევნების კეთილსინდისიერად და სამართლიანად ჩატარება სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისა და ხელისუფლების ლეგიტიმურობის მნიშვნელოვანი პირობაა. მიიჩნევა, რომ წინასაარჩევნო ეთიკის კოდექსები წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციას, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის დიალოგს, კონფლიქტური ვითარებების განმუხტვასა და საარჩევნო კამპანიის მაღალი ეთიკური სტანდარტებით წარმართვას.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ პოლიტიკური პარტიები გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ნებაყოფლობით და ურთიერთშეთანხმებით მიღებულ დოკუმენტს, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში, სადაც გარემო მკვეთრად პოლარიზებული და დაძაბულია.

კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკურ პარტიათა ქცევის კოდექსის შემუშავებისა და ქმედუნარიანობის საკითხის შესწავლას. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუები.

შედეგები აჩვენებს, რომ საარჩევნო კამპანიის წარმართვისას პოლიტიკური სუბიექტები უგულვებელყოფენ ეთიკურ სტანდარტებს. ქართულ რეალობაში ქცევის კოდექსი წარმოადგენს ქმედუ-

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი.

უნარო დოკუმენტს, რომელსაც პოლიტიკური პარტიები ფორმალურად აწერენ ხელს და პრაქტიკაში მისი რეალიზება არ ხდება. ყოველივე ეს განპირობებულია პოლიტიკური ნების არარებობითა და პოლიტიკური კულტურის დაბალი დონით.

**საკვანძო სიტყვები:** არჩევნები, ეთიკის კოდექსი, პოლიტიკური პარტიები, საქართველო.

### შესავალი

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში არჩევნების სამართლიანად და მშვიდობიანად ჩატარება არასაკმარისი, თუმცა აუცილებელი პირობაა. უახლესი კვლევები აჩვენებს, რომ საარჩევნო დარღვევები ხდება სხვადასხვა ტიპის რეჟიმებში, მათ შორის განვითარებულ დემოკრატიებშიც (Norris, 2014)(Buerger, C. & Glavinic, T. 2022). ამდენად, წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ეთიკის კოდექსების შემუშავების საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მიიჩნევა, რომ ამგვარ დოკუმენტებს შეუძლია ხელი შეუწყონ ხელისუფლების მშვიდობიან ცვლილებას და ამასთანავე, დემოკრატიული პროცესებისადმი ნდობის გაღრმავებას (Goodwin-Gill, 1998).

საარჩევნო მანიპულაციებს, ძალადობასა და სხვადასხვა სახის დარღვევებს, განსაკუთრებით იმგვარ რეჟიმებში აქვს ადგილი, რომლებიც არც ჩამოყალიბებულ დემოკრატიებს მიეკუთვნებიან და ამასთანავე, არც აბსოლუტური ავტორიტეტების კატეგორიაში გადიან. სამეცნიერო წრეებში მათ ხშირად უწოდებენ ჰიბრიდულ რეჟიმებს, საარჩევნო ავტორიტარულ რეჟიმებს ან კონკურენტულ ავტორიტარიზმს (Norris, 2014.)

ამდენად, გარდამავალი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში, სადაც გარემო უკიდურესად პოლარიზებულია და დემოკრატიული ღირებულებები არ არის განმტკიცებული, მიიჩნევა, რომ წინასაარჩევნო ეთიკის კოდექსი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა, ვინაიდან, შესაძლოა იყოს როგორც პრევენციის მექანიზმი დარ-

ღვევების აღსაკვეთად. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს კონფლიქტური ვითარებების განმუხტვას, შემწყნარებულურ დამოკიდებულებას პოლიტიკურ სუბიექტებს შორის და სამართლიან კონკურენციას (Buerger, C. & Glavinic, T. 2022) (IDEA, 1999).

წინასაარჩევნო ეთიკის კოდექსი არ უნდა იქნას გააზრებული როგორც მხოლოდ საარჩევნო პროცესის მომწესრიგებელი, არამედ იგი მიზნად ისახავს სამართლებრივი და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებას (IDEA, 2017). პრაქტიკაში ვხვდებით პოლიტიკური სუბიექტების მიერ ნებაყოფლობით შემუშავებულ კოდექსებს, რომლებიც წარმოადგენს პარტიების თვითრეგულირების მექანიზმს და მასზე ხელმოწერა პოლიტიკურ აქტორთა პირად სურვილზეა დამოკიდებული. ასევე ვხვდებით მეორე ტიპის კოდექსებს, რომლებიც საკანონმდებლო ბაზის ნაწილია და სავალდებულოა. (IDEA, 2017) (Buerger, C. & Glavinic, T. 2022).

მიიჩნევა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური სუბიექტების მიერ ნებაყოფლობით და დიალოგის გზით მიღებულ ეთიკის კოდექსებს, სადაც პოლიტიკური პარტიები აცნობიერებენ კონფლიქტების არიდების, ურთიერთპატივისცემის და სამართლიანი კონკურენციის მნიშვნელობას (Goodwin-Gill, 1998). არსებობს აზრი, რომ პოლიტიკური სუბიექტები უფრო მეტად გაითავისებენ და პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ნებაყოფლობით კოდექსს (IDEA, 1999).

ეთიკის კოდექსის ქმედითობა მრავალ ფაქტორზე არის დამოკიდებული. მაგალითად, როგორცაა, დოკუმენტის შემუშავების პროცესი, მისი შინაარსი, ადგილობრივი პოლიტიკური, კულტურული და ისტორიული კონტექსტი. პარტიათა მზაობა და ნება იხელმძღვანელონ მაღალი ეთიკური სტანდარტებით. საზოგადოებისა და მედიის ჩართულობა კონტროლი გაუწიონ დოკუმენტის აღსრულებას.

საქართველოში 2008 წლიდან იქმნება წინასაარჩევნო ქცევის/ეთიკის კოდექსები. აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება უფრო

მეტად არის საერთაშორისო სტანდარტებთან ფორმალური შესაბამისობის დემონსტრირება, ვიდრე, წინასაარჩევნო გარემოს რეალურად გაჯანსაღების სურვილი. ქართული პოლიტიკა ხასიათდება უკიდურესი პოლარიზაციით, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია წინასაარჩევნო პერიოდებში. ხშირია, ოპონენტებს შორის ღირსების შემლახავი განცხადებები, ურთიერთბრალდებები. თუმცა, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის არსებულ ურთიერთობაზე გაცილებით სავალალოა, მათი დამოკიდებულება საქართველოს მოქალაქეების მიმართ. კერძოდ, ხშირია ამომრჩეველთა მოტყუება, ცრუ დაპირებები, ადამიანთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით სარგებლობა და მათ არჩევანზე ზეგავლენის მოხდენა სხვადასხვა საშუალებებით. აგრეთვე, ხშირია მანიპულაციები საჯარო სექტორში დასაქმებულთა მისამართით. წინასაარჩევნო კამპანია არ ეფუძნება პოლიტიკურ პროგრამებსა და პლატფორმებს. პოლიტიკურ პარტიებს შორის დისკუსია არ მიემართება ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრისა და გამოსავლის ძიებისკენ, არამედ მთელი ყურადღება გადატანილია ურთიერთბრალდებებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უსამართლო და არადემოკრატიული წინასაარჩევნო პროცესის ლოგიკური შედეგი იქნება იმგვარივე მიდგომების გაგრძელება ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ. ამდენად, საარჩევნო გარემოს რეალური გაჯანსაღება არის არასაკმარისი, თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პირობა სამართლებრივი, დემოკრატიული ერი-სახელმწიფოს განვითარების გზაზე.

ამგვარად, მოცემული ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს 2024 წელს საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკურ პარტიათა ქცევის კოდექსის შემუშავების საკითხი და შეაფასოს რამდენად უწყობს ხელს პოლიტიკურ სუბიექტთა შორის დიალოგს, სამართლიან, ეთიკურ და პროგრამებზე ორიენტირებულ საარჩევნო კამპანიას.

ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში დასახულია შემდეგი ამოცანები:

- წინასაარჩევნო ეთიკის კოდექსების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიერატურის შესწავლა

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტი-ათა ქცევის კოდექსის შემუშავების პროცესის, შინაარსისა და მონიტორინგის მექანიზმების შესწავლა

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტი-ათა ქცევის კოდექსის ქმედუნარიანობის შეფასება

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, დოკუმენტების ანალიზი და პირისპირი ინტერვიუები. თავდაპირველად მოხდა საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, ეთიკის კოდექსების, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშების შესწავლა. ამასთან, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 11 სიღრმისეული ინტერვიუ. აქედან 8 სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან, მათ შორის არიან პოლიტოლოგები, სოციოლოგები, სამართლის სპეციალისტები, ფილოსოფოსები და კულტუროლოგები. ხოლო 3 პირისპირი ინტერვიუ ჩატარდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

### **2024 წლის წინასაარჩევნო ექცევის კოდექსის შემუშავების საკითხი**

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა სრულად პროპორციული სისტემით, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საარჩევნო ისტორიაში პირველ შემთხვევას წარმოადგენდა. გამომდინარე იქიდან, რომ 5%-იანი საარჩევნო ბარიერი მოქმედებდა, მცირე და ახალი პოლიტიკური სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის შესაძლებლობა იზღუდებოდა (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025). აღნიშნული გარემოება პოლიტიკურ პარტიებს კოალიციების შექმნისკენ უბიძგებდა.

სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ხელშესაწყობად, საარჩევნო ადმინისტრაციამ პოლიტიკურ სუბიექტებს ქცევის

კოდექსი წარუდგინა, რომელიც ითვალისწინებდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ამასთან, ეფუძნებოდა ევროპის პარლამენტის არჩევნებზე გამოყენებული დოკუმენტის ძირითად პრინციპებს. საარჩევნო ადმინისტრაცია იმედოვნებდა, რომ ქვეყნის კოდექსი გააერთიანებდა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების ირგვლივ და ხელს შეუწყობდა საქართველოში საარჩევნო პოლიტიკური კულტურის განვითარებას. აღნიშნულ პროცესში საარჩევნო ადმინისტრაცია ფასილიტატორის როლს ასრულებდა. პოლიტიკურ პარტიებს წარედგინათ ეთიკის კოდექსის პროექტი და როგორც საარჩევნო ადმინისტრაციამ განმარტა, საბოლოო ვერსია შემუშავებულ იქნა პოლიტიკურ სუბიექტთა მოსაზრებების გათვალისწინებით. დოკუმენტზე ხელმოწერა შეეძლოთ პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს, 9-11 სექტემბრამდე (Tabula.ge. 2024).

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ პოლიტიკური პარტიების ნებაყოფლობითი და აქტიური ჩართვა ეთიკის კოდექსის შემუშავების პროცესში, აგრეთვე, ერთმანეთთან დიალოგი აღნიშნულ საკითხებზე დადებით გავლენას ახდენს, როგორც საარჩევნო კამპანიის ხასიათზე, ისე პოლიტიკური კულტურის განვითარებაზე. თუმცა, ზემოაღნიშნული პროცესის წარმატება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად აცნობიერებენ პოლიტიკური სუბიექტები ეთიკური სტანდარტების დამკვიდრების მნიშვნელობას. (Goodwin-Gill, 1998) (IDEA, 2017).

2024 წლის წინასაარჩევნო ქვეყნის კოდექსი, არ იყო ფართო კონსესუსის შედეგი, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ დოკუმენტი არჩევნებში მონაწილე სუბიექტთა უმრავლესობის მიერ არ იქნა ხელმოწერილი.

## 2024 წლის ქვევის კოდექსის ძირითადი პრინციპები

2024 წლის ქვევის კოდექსის მიზანი იყო სამართლიანი, დემოკრატიული და თანასწორი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა. დოკუმენტი მოიცავდა 4 ძირითად მიმართულებას 1.ზოგადი პრინციპები 2.ღირსეული და სამართლიანი კონკურენცია 3.ამომრჩეველთა უფლებების პატივისცემა 4.შესრულება და მონიტორინგი.

პოლიტიკური პარტიები აღიარებდნენ, რომ იმოქმედებდნენ საქართველოს კონსტიტუციის, საზოგადოებრივი და დემოკრატიული პრინციპების დაცვით. ამასთან, ხაზს უსვამდნენ, რომ პატივს სცემდნენ ამომრჩეველთა და პოლიტიკურ სუბიექტთა უფლებებს. ვალდებულებას იღებდნენ, რომ უზრუნველყოფდნენ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს, არ მიმართავდნენ სიძულვილის ენას, მუქარას, ძალადობას ან ძალადობისკენ მოწოდებას. გარდა ამისა, პარტიები პასუხისმგებლობას იღებდნენ, რომ წარმართავდნენ წარმომადგენლობით და ინკლუზიურ საარჩევნო პროცესს, სადაც ყველას თანაბარი შესაძლებლობები ექნებოდა. გარდა ამისა, პირობას დებდნენ, რომ საქმიანობას განახორციელებდნენ ყოველგვარი სახის დისკრიმინაციის გარეშე და ფინანსურ რესურსებს გახარჯავდნენ კანონმდებლობის სრული დაცვით.

ღირსეული და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, პოლიტიკური სუბიექტები პასუხისმგებლობას იღებდნენ, რომ საარჩევნო კამპანია იქნებოდა საგნობრივი, პროგრამებზე ორიენტირებული. ამასთან, პატივს სცემდნენ კონკურენტის ღირსებას და ხელს არ შეუშლიდნენ საარჩევნო კამპანიის წარმოებაში. პარტიები, პირობას დებდნენ, რომ არ გამოიყენებდნენ და განზრახ არ გაავრცელებდნენ ყალბ ინფორმაციას კანდიდატის შესახებ. ამასთან, თავს შეიკავებდნენ ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით გენერირებული ცრუ კონტენტის გავრცელებისგან. დოკუმენტის მიხედვით, პოლიტიკური სუბიექტებს ეკრძალებოდათ ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენება, ცილისმწამებლუ-

რი კამპანია, „ბოტების“ ქსელით ოპონენტებზე პერსონალური თავდასხმა, კონფლიქტის წახალისება რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ნიშნით.

წინასაარჩევნო ქცევის კოდექსში ხაზგასმული იყო, რომ ამომრჩეველს უნდა მისცემოდა თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ამასთან, პარტიები პასუხისმგებლობას იღებდნენ, რომ აწარმოებდნენ ინკლუზიურ საარჩევნო კამპანიას, არ ეცდებოდნენ ამომრჩეველზე ზეწოლას, ძალადობას, მუქარას, ამომრჩევლის ან საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა მოსყიდვას პირდაპირ ან ირიბად, სახელმწიფო რესურსების გამოყენებითა თუ დაპირებით. ამასთანავე, დაუშვებელი იყო ამომრჩევლისთვის კაბინაში შემოხაზული ბიულეტენისთვის ფოტოს გადაღების მოთხოვნა. პარტიებს ეკრძალებოდათ, საარჩევნო პროცესის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება და ამომრჩეველთა პერსონალური ინფორმაციის დამუშავება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ქცევის კოდექსი მოიცავდა შესრულებისა და მონიტორინგის ნაწილსაც. პარტიებს ევალებოდათ წინამდებარე კოდექსი დაენერგათ პარტიის სტრუქტურასა და რეგიონულ ორგანიზაციაში. ამასთან, დოკუმენტით აღებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების ინსტრუქციის შესახებ ინფორმაცია გაევრცელებინათ აქტივისტებში, მხარდამჭერებსა და პარტიულ თანამდებობის პირებში. გარდა ამისა, პირობას დებდნენ, რომ პარტიის შიგნით დანერგავდნენ კოდექსის აღსრულებისა და მონიტორინგის შიდაპარტიულ მექანიზმს. ამასთან, პარტიები ვალდებულებას იღებდნენ, რომ ამ კუთხით, ერთმანეთს გაუზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, რაც სამომავლოდ შესაძლებელს გახდიდა აღსრულების პარტიათაშორისი მექანიზმის შექმნას.

პოლიტიკური სუბიექტები პირობას დებდნენ, რომ მათი წევრების, კანდიდატების, წარმომადგენლებისა თუ აქტივისტების მხრიდან ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევას დაგმობდნენ და

წინ აღუდგებოდნენ. ამასთავე, თანხმდებოდნენ, რომ არ გამოიყენებდნენ სატელიტ სამოქალაქო ორგანიზაციებს სადამკვირვებლო საქმიანობისთვის. გარდა ამისა, პარტიები პასუხისმგებლობას იღებდნენ, რომ მშვიდობიანად და ურთიერთპატივისცემით ითანამშრომლებდნენ ერთმანეთთან და საარჩევნო ადმინისტრაციასთან, საარჩევნო დავების მოგვარების პროცესში (ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2024).

2024 წლის პარტიების წინასაარჩევნო ქცევის კოდექსი ძირითადად ეფუძნებოდა 2020 წლის დოკუმენტს, თუმცა მასში მცირედი ცვლილებები განხორციელდა. გარკვეული პრინციპები დაემატა, თუმცა შესრულებისა და მონიტორინგის ნაწილიდან ამოღებულ იქნა შემდეგი მუხლი: „ვიწვევთ და თანხმობას ვაცხადებთ, რომ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მედია ჯგუფები დააკვირდნენ და შეაფასონ ჩვენს მიერ წინამდებარე დოკუმენტით აღებული ვალდებულებების შესრულება“.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მუხლი 2020 წლის საარჩევნო კოდექსში იყო გაწერილი, პრაქტიკული შედეგი არ მოპყლია. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაგინდ იდეალურად იყოს დაწერილი ეთიკის კოდექსი, ვერ იქნება ქმედითი, თუ არ არსებობს პოლიტიკოსთა ნება დაიცვან ეთიკური სტანდარტები და ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მზაობა ზედამხედველობა გაუწიონ დოკუმენტით განსაზღვრული ღირებულებების დაცვას.

### **პოლიტიკური პარტიების შეფასებები ქცევის კოდექსთან დაკავშირებით**

წარსულში მიღებული წინასაარჩევნო დოკუმენტების (2008-2020) მსგავსად, 2024 წლის ქცევის კოდექსს არ გააჩნდა სავალდებულო ძალა. ამდენად, მისი ხელმოწერა პოლიტიკური სუბიექტების ნებაზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტი-

კური პარტიები ხაზს უსვამდნენ არჩევნების მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარების მნიშვნელობას, მათ ვერ მიაღწიეს ფართო კონსენსუსს წინასაარჩევნო ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით.

დოკუმენტის მიღების ინიციატივას ძირითადი ოპოზიციური ნაწილის კრიტიკული შეფასებები მოჰყვა. ისინი მიუთითებდნენ არჩევნების სამართლიანად ჩატარების პროცესში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელობაზე, თუმცა, აქვე დასძენდნენ, რომ ამ უკანასკნელის ფუნქცია მოიცავდა კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას და არა ფასილიტაციას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარისა და ამასთან, პლატფორმა „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის თინათინ ბოკუჩავას, მოსაზრებით, ცესკოს მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო არჩევნების კეთილსინდისიერად ჩატარება და არა სამათავრობო პროპაგანდის წარმოება ოპოზიციის წინააღმდეგ. „წაიკითხონ კანონი, რომელიც ქცევის კოდექსზე მაღლა დგას“, აცხადებდა ბოკუჩავა.

პარტია „ლელო საქართველოსთვის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე და კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წარმომადგენელი ბადრი ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ უმთავრესი იყო წინასაარჩევნო პროცესში ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვა, პოლიტიკური დებატებისას ოპონენტის პატივისცემა, სიტყვიერი შეურაცხყოფისგან თავის შეკავება და არა ქცევის კოდექსზე ფორმალურად ხელის მოწერა. მისი შეფასებით, სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ოპონენტების მისამართით აქტიურად იყენებდა ღირსების შემლახველ და შეურაცხყოფელ განცხადებებს.

საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „გირჩის“ წევრი ალექსანდრე რაქვიაშვილი ცესკოს მიერ შეთავაზებულ ქცევის კოდექსს კრიტიკულად აფასებდა და აღნიშნავდა, რომ დოკუმენტი წარმოადგენდა „სადღეგრძელოების ერთობლიობას“, რომლის შინაარსი იყო ხელოვნური, ნაწილობრივ გაურკვეველი და რიგ შემთხვევაში

მავნებლური. ამდენად, უარს აცხადებდა მისი დაცვის ვალდებულება აელო (მაყაშვილი, 2024).

აქ იკვეთება ერთი საყურადღებო გარემოება. 2020 და 2024 წლის პარტიების წინასაარჩევნო ქცევის კოდექსი თითქმის იდენტურია. ამასთან, ორივე შემთხვევაში ფასილიტატორი იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. თუმცა, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ლელო საქართველოსთვის“ და „გირჩმა“ 2020 წელს ხელი მოაწერა ქცევის კოდექსს, ხოლო 2024 წელს ფაქტობრივად იგივე დოკუმენტს არ შეუერთდა.

საბოლოოდ, 2024 წლის წინასაარჩევნო ქცევის კოდექსს მხოლოდ 6-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა მოაწერა ხელი, მაშინ როდესაც 2020 წელს თითქმის იდენტურ დოკუმენტზე 40 პარტია იყო ხელმომწერი.

**ცხრილი N1. 2024 წლის წინასაარჩევნო ქცევის კოდექსზე ხელმომწერი პოლიტიკური პარტიები**

პოლიტიკური დასახელება	პარტიის	ხელმძღვანელის/ წარმომადგენლის სახელი, გვარი
1	შეცვალე საქართველო	გიორგი გაგნიძე
2	ევროპელი დემოკრატები	ნანა შეროზია
3	სამართლიანობისთვის	იასე ზაუტაშვილი
4	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	გივი მიქანაძე
5	მესამე გზა	გიორგი თუმანიშვილი
6	ჩვენი გაერთიანებული საქართველო	ისაკი გიორგაძე

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, ეყრდნობა პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს 2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის (ცესკო)

ამდენად, მსხვილმა ოპოზიციურმა გაერთიანებებმა არ მოაწერეს ხელი ქცევის კოდექსს.

1. „კოალიცია ცვლილებებისთვის-გვარამია, მელია, გირჩი, დროა“, რომლის წევრი პარტიები არიან „ახალი“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“, „დროა“, „რესპუბლიკური პარტია“.<sup>1</sup>

2. „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“<sup>2</sup>, რომელშიც ენმ-ს გარდა არიან პარტიები: „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“.

3. „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ წევრი პარტიები: „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“, „ანა დოლიძე-ხალხისთვის, „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“, „თავისუფლების მოედანი“.<sup>3</sup>

ასევე, დოკუმენტს არ შეუერთდნენ: „გახარია-საქართველოსთვის“<sup>4</sup>, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „გირჩი“, „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“, „საქართველო“, „თავისუფალი საქართველო“, „ტრიბუნა“, „ჩვენ“, „მემარცხენე ალიანსი“, ქართველ ერთობა“.

ოპოზიციური პარტიების კრიტიკულ პოზიციას ქცევის კოდექსთან დაკავშირებით საპასუხო შეფასებები მოჰყვა. პარტიის „ხალხის ძალა“ აღმასრულებელი მდივანი გურამ მაჭარაშვილის

---

<sup>1</sup> 2024 წლის 11 სექტემბერს პოლიტიკურმა პარტიამ „ახალი ერთობა“ შეიცვალა სახელწოდება, და ეწოდა „კოალიცია ცვლილებებისთვის გვარამია, მელია, გირჩი, დროა“. წყარო OCCRP

<sup>2</sup> ერთიანი ნაციონალური მოძრაობის განახლებული სახელწოდება 2024 წლის აგვისტოდან. წყარო OCCRP

<sup>3</sup> პარტია „ლელო საქართველოსთვის გაერთიანდა 3 პოლიტიკურ სუბიექტთან: „ანა დოლიძე-ხალხისთვის“, „თავისუფლების მოედანი“, „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ და 2024 წლის 22 აგვისტოს ტრანსფორმირდა სახელწოდებით „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“. წყარო OCCRP

<sup>4</sup> 2024 წლის მარტში პარტია „საქართველოსთვის“ დაარეგისტრირდა ახალი სახელწოდებით-„გახარია საქართველოსთვის“. წყარო OCCRP

მოსაზრებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ზოგადად ოპოზიცია, შორს იყო კანონებისა და წესების პატივისცემისაგან. აღნიშნული სუბიექტების მიზანს წარმოადგენდა არა შერიგება და გაერთიანება, არამედ ანტაგონიზმი. „მათი წესი არის უწესობა. რასაც ეტყვიან უცხოეთიდან იმ უწესობას სჩადიან“, აცხადებდა მაჭარაშვილი.

სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შეფასებით, ოპოზიციური სპექტრის მხრიდან ქცევის კოდექსზე ხელის არმოწერა, ფაქტობრივად, დასტური იყო იმისა, რომ ისინი ემზადებოდნენ არამხოლოდ რადიკალური წინასაარჩევნო კამპანიისთვის, არამედ არჩევნების შემდგომ რადიკალური დღის წესრიგისთვის.

საქართველო პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის განცხადებით, რადიკალური ოპოზიცია არჩევნების არაღიარებისთვის ემზადებოდა. მისი თქმით, ეს ტრადიციად ჰქონდათ ქვეული, რაც გამოვლინდა 2012, 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში. „სამივე არჩევნებზე დასჭირდათ დრო და წნეხი იმისთვის, რომ ეღიარებინათ შედეგები. რა თქმა უნდა, აქაც იმავე ლოგიკას მიჰყვებიან და აპირებენ არ აღიარონ ეს არჩევნები. უკვე აქედანვე ამზადებენ საბაზს. არ უნდათ, ელემენტარულ სტანდარტზე აიღონ პასუხისმგებლობა. იმედი მაქვს, ამას ყურადღებას მიაქცევენ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები“ (ელისაშვილი, 2024). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენდა სახელისუფლებო პარტიას, მშვიდობიანი და სამართლიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით წამოაყენა პოლიტიკურ პარტიათა ქცევის 4 პუნქტიანი დეკლარაცია. მოგვიანებით, პროცესში მედიატორის ფუნქცია „ეს შენ გეხება“ იკისრა და ზემოაღნიშნულ დებულებებს დაემატა 17 პუნქტიანი რეკომენდაცია.

დოკუმენტის ირგვლივ მმართველ გუნდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობასა“ და იმ პერიოდის მთავარ ოპოზიციურ ძალა

„ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ შორის აზრთა დაპირისპირებები იყო. პოლიტიკური ძალები ვერ თანხმდებოდნენ განსაკუთრებით იმ მუხლზე, რომელიც არჩევნების შედეგების აღიარებას ეხებოდა.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ითხოვდა შემდეგ ფორმულირებას: „საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ვაღიარებთ ზემოთჩამოთვლილი პირობებით ჩატარებული, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით შეჯამებული და სანდრო რეპუტაციის მქონე სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული არჩევნების შედეგებს“.

ზემოაღნიშნული ფორმულირება მიუღებელი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“. ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებით, მსგავსი ჩანაწერი „უკვე დღეს იძლევა შესაძლებლობას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არ აღიაროს არჩევნების შედეგები“. საბოლოოდ, მხარეთა შორის შეთანხმება ვერ შედგა.

**ცხრილი N2. სახელისუფლებო და ძირითადი ოპოზიციური ძალების რიტორიკა ქვევის კოდექსთან დაკავშირებით (2012-2024წ.წ.)**

წელი	პოლიტიკური პარტია	კოდექსის მიმართ დამოკიდებულება	ოპონენტის შეფასება
2012	ენმ (სახელისუფლებო პარტია)	კოდექსი უზრუნველყოფს კონკურენტულ, სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებს	ოპოზიციას არ სურს ეთიკური კამპანია, წინასწარ ემზადება არჩევნების არაღიარებისკენ
2012	ქართული ოცნება (ოპოზიცია)	კოდექსი ხელისუფლების მხრიდან ფარსი და მანიპულაციაა	ხელისუფლება თავად არღვევს ეთიკის სტანდარტებს
2024	ქართული ოცნება (სახელისუფლებო პარტია)	კოდექსი უზრუნველყოფს კონკურენტულ, სამართ-	ოპოზიციას არ სურს ეთიკური კამპანია, წინასწარ ემ-

	ლებო პარტია)	ლიან და დემოკრა- ტიულ არჩევნებს	ზადება არჩევნების არალიარებისკენ
2024	ენმ (ოპოზიცია)	კოდექსი ფარსი და ხელისუფლების მანიპულაციაა	ხელისუფლება თა- ვად არღვევს ეთი- კის სტანდარტებს

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მედიასაშუ-  
ალეებში გამოქვეყნებული პარტიული განცხადებების ანალიზის  
საფუძველზე

ამდენად, კვლევის შედეგებიდან იკვეთება, რომ წინასაარ-  
ჩევნო ეთიკის კოდექსის შეფასების საკითხში, „ქართული ოცნე-  
ბისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიტორიკა არსები-  
თად ერთნაირია, როგორც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ისე  
ოპოზიციის რანგში.

### 2024 წლის საარჩევნო გარემო და არსებული გამოწვევები

2024 წელს, ისევე როგორც წინა არჩევნებზე, სრულიად უგ-  
ულვებელყოფილი იყო ეთიკური სტანდარტები, რაც ადასტურებს,  
რომ საქართველოში ქცევის კოდექსს გავლენა არ აქვს საარჩევნო  
გარემოზე და წარმოადგენს ქმედუუნარო, ფორმალურ დოკუმენტს.

წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა მასიურ დეზინ-  
ფორმაციულ კამპანიას, ადმინისტრაციული რესურსების არასათა-  
ნადო გამოყენებას (საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო,  
2024). წინასაარჩევნო პროცესი იყო არა პროგრამებსა და პლატ-  
ფორმებზე ორიენტირებული, არამედ-ოპონენტების დისკრედიტა-  
ციაზე.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით,  
სადამკვირვებლო მისიამ „ჩემი ხმა“, სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ IFSED) და საქართვე-  
ლოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) გამოაქვეყნა არჩევ-  
ნების ერთობლივი შეფასება (civili.ge, 2024).

დოკუმენტის მიხედვით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა იძულებისა და დაშინების ფაქტებს, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ამომრჩეველთა მოსყიდვას. აგრეთვე, ფიქსირდებოდა მრავალჯერადი ხმის მიცემის ფაქტები, დამკვირვებელთა უფლებების შეზღუდვა და სხვადასხვა სახის მანიპულაციები. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების შეფასებით, არჩევნები არ ასახავდა მოქალაქეთა ჭეშმარიტ ნებას. სადამკვირვებლო მისიები მიუთითებდნენ, ფართომასშტაბიან და სისტემურ დარღვევებზე. მათ შორის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევაზე (ISFED, ჩემი ხმა & საია, 2024).

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებში 5%-იანი ბარიერი გადალახეს შემდეგმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა: „ქართული ოცნება“, „კოალიცია ცვლილებებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“, „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“, „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ და „გახარია საქართველოსთვის (ცესკო, 2024). მას შემდგომ, რაც არჩევნების შედეგები გამოცხადდა, სადაც ხმების 54% „ქართულ ოცნებას“ მიეკუთვნა, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ითხოვდა შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობას. პრეზიდენტის სარჩელის მიხედვით, არჩევნებზე დაირღვა ორი კონსტიტუციური პრინციპი. კერძოდ. 1. ხმის მიცემის ფარულობა და 2. ხმის მიცემის საყოველთაოობა. გარდა ამისა, პარლამენტის 30-მა ოპოზიციონერმა ცალკე სარჩელებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით (civil.ge, 2024).

„კოალიციამ ცვლილებებისთვის, რომელმაც ოთხ ოპოზიციურ ძალას შორის ყველაზე მეტი ხმა მიიღო-11.03% ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პარტიული სიის ჩახსნის თხოვნით მიმართა. მისი ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ჯაფარიძის განმარტებით, პროცედურულად ჯერ უნდა მომხდარიყო პროპორციული სიების ჩა-

ხსნა და შემდგომ ამისა, ინდივიდუალური განცხადებები დაწერილიყო საპარლამენტო მანდატების გაუქმების თაობაზე (Civil.ge, 2024). ასეთივე თხოვნით მიმართეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას „ძლიერმა საქართველომ“ და „ერთიანობა-ნაციონალურმა მოძრაობამ“ (civil.ge, 2024) ზემოაღნიშნული კოალიციების გარდა, პარლამენტის ლეგიტიმაციას არ აღიარებდა და ბოიკოტის რეჟიმში იყო „გახარია საქართველოსთვის“. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პარტიის წევრები 2025 წელს პარლამენტში შევიდნენ. მათ განაცხადეს, რომ გრძელვადიანი ბოიკოტი შეცდომა იყო და აპირებდნენ საკუთარი ბერკეტი გამოეყენებინათ „ქართული ოცნების“ წნეხისთვის და მათთვის ქვეყნის დაზიანების საშუალება არ მიეცათ (გვეტაძე, 2025).

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოში დღემდე დგას მშვიდობიანი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების პრობლემა. წინასაარჩევნო ეთიკის კოდექსები წარმოადგენს ქმედუუნარო დოკუმენტს, რომელსაც პოლიტიკური სუბიექტები ფორმალურად აწერენ ხელს. კვლევის ფარგლებში გამოკითხული პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ საარჩევნო გარემო იმდენად პოლარიზებული და დამაბულია, რთულია ეთიკური სტანდარტებით ხელმძღვანელობა. ამასთან, მიუთითებენ, რომ ეთიკის კოდექსებს სერიოზულად არცერთი პოლიტიკური სუბიექტი აღიქვამს და იციან პრაქტიკაში არ შესრულდება. გარდა ამისა, გაიჟღერა აზრმა, რომ ამგვარ მოცემულობაში, როდესაც ყველა პოლიტიკოსი უგულვებელყოფს წინასაარჩევნო პროცესში ეთიკურ ნორმებს, პარტია, რომელიც დაიცავს ზემოაღნიშნულ სტანდარტებს, შესაძლოა წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდეს. დამატებით, გამოიკვეთა, რომ პოლიტიკოსები ძირითად პასუხისმგებლობას საზოგადოებას აკისრებენ. მიიჩნევენ, რომ მოქალაქეებს აქვთ რეალური ბერკეტი არჩევნების სახით და უზნეო, ეთიკური ნორმების დამრღვევი პოლიტიკოსი არ უნდა აირჩიონ.

ექსპერტთა შეფასებით, არამხოლოდ წინასაარჩევნო კამპანია, ზოგადად ქართული პოლიტიკა სრულიად დაცლილია ეთიკური და ზნეობრივი მიდგომებისგან. გარდა ამისა, ხშირია სამართლებრივი ნორმების უგულვებელყოფა, რაც განპირობებულია პოლიტიკოსთა სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის დაბალი დონით. ერთ-ერთი ფილოსოფოსი აღნიშნავს, რომ „ჩვენი პოლიტიკოსების ველური პრაგმატიზმი, ადგილსაც არ უტოვებს იმას, რომ პოლიტიკაში მორალი ამოიკითხოს ადამიანმა“ (პირისპირი ინტერვიუ, 04.12.2025) მისი მოსაზრებით, ეს მიდგომები საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს.

გარდა ამისა, რესპონდენტები მიუთითებენ პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალ ხარისხზე, რომელიც ხელს უშლის პოლიტიკურ სუბიექტებს შეთანხმდნენ საერთო ეთიკურ სტანდარტებზე. კვლევის ფარგლებში გამოკითხული სოციოლოგის განმარტებით, საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს სჭირდებათ პოლიტიკური სოციალიზაცია, ვინაიდან, მათ არ გააჩნიათ უნარები, რომ პოლიტიკა აწარმოონ დისკუსიების, კონკურენციისა და იდეოლოგიური დაპირისპირების რეჟიმში (პირისპირი ინტერვიუ, 29.12.2025).

ერთ-ერთი პოლიტოლოგის შეფასებით, საქართველოში როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია გამოირჩევა რადიკალიზმით. პოლიტიკური კამპანია ორიენტირებულია არა პროგრამებსა და პლატფორმებზე, არამედ ოპონენტთა დისკრედიტაციაზე. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ პირობებში მოქალაქეები მოკლებულნი არიან თავისუფალი და გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

ექსპერტთა გარკვეული ნაწილი პოლიტიკურ პროცესში არსებულ ეთიკურ გამოწვევებს საბჭოთა მემკვიდრეობას და ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირებს. როგორც ერთ-ერთი პოლიტოლოგი აღნიშნავს, გარემოში სადაც ფული არის უმთავრესი ღირებულება, ზნეობაზე საუბარი ზედმეტია.

## დასკვნა

არჩევნების კეთილსინდისიერად ჩატარება დემოკრატიული რეჟიმის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდენის შემდგომ მუდმივად ისმის საკითხი არჩევნების სამართლიანობასა და ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით. პოლიტიკური სუბიექტები წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ნაკლებად არიან ორიენტირებულნი პოლიტიკურ პროგრამებსა და პლატფორმებზე. ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ამომრჩევლის მოტყუება, ცრუ დაპირებები, მუქარა, მოსყიდვა და სხვადასხვა მანიპულაციები ნორმად არის ქცეული.

გარდა ამისა, ქვეყანაში არსებული ღრმა პოლიტიკური პოლარიზაცია, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის შეურიგებლობა, დიპლომატიის კულტურის არარსებობა აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. წინასაარჩევნო კამპანია ხასიათდება სიძულვილის ენით, ოპონენტის დისკრედიტაციის მცდელობით, რაშიც აქტიურად არის გამოყენებული „ბოტების“ ქსელი. ამ ვითარებაში, ამორალური მიდგომებისა და უზნეობის ნორმად დამკვიდრება ხდება საზოგადოებაში. პოლიტიკური პარტიები ნაკლებად გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას პოლიტიკური კულტურის ამაღლებისა და საზოგადოებაში ეთიკური ღირებულებების დამკვიდრების საქმეში.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს, თუმცა წარმომადგენლობით დემოკრატიაში პოლიტიკურ პარტიებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ. მათ შეუძლიათ წაახალისონ როგორც ეთიკური ღირებულებები, ისე ძალადობრივი გარემო. ამდენად, დღეს მიმდინარე გამოწვევებზე უმთავრესი პასუხისმგებლობა სწორედ მათ ეკისრებათ.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ქვეყნის ეთიკური კოდექსის სრული უგულვებელყოფა ხდება. პოლიტიკოსები მიუხედავად იმისა, რომ ხელს აწერენ დოკუმენტს ცინიკურად არიან განწყობილი მის მიმართ.

ეთიკის კოდექსები მუშაობს იმ მოცემულობაში, როდესაც პოლიტიკურ სუბიექტებს აქვთ ნება, რომ საარჩევნო პროცესი წარიმართოს მაღალი პოლიტიკური სტანდარტების შესაბამისად, დემოკრატიული და სამართლებრივი ნორმების დაცვით. საქართველოს მოცემულობა ცხადყოფს, რომ ამგვარი პოლიტიკური ნება არ არსებობს. ამასთან, პოლიტიკური სუბიექტების რიტორიკა ეთიკის კოდექსებთან დაკავშირებით იცვლება, ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისა და ვითარების შესაბამისად.

### გამოყენებული ლიტერატურა

ამიხსენი რას ნიშნავს პრეზიდენტის კონსტიტუციური სარჩელი ახალი პარლამენტისთვის. (2024) <https://civil.ge/ka/archives/636927>

გვეტაძე, ა.(2025). გიორგი გახარიას პარტია პარლამენტში შესასვლელად ემზადება. <https://euronewsgeorgia.com/2025/10/21/giorgi-gaxarias-partia-parlamentshi-shesasvlelad-emzadeba/>

ელისაშვილი, თ. (2024) შალვა პაპუაშვილი-პარტიების ქცევის კოდექსზე ხელის არმოწერა არის აღიარება, რომ ოპოზიციის ემზადება რადიკალური წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების შემდეგ რადიკალური დღის წესრიგისთვის <https://1tv.ge/news/shalva-papuashvili-partiebis-qcevis-kodeqsze-khelis-armowera-aris-aghiareba-rom-opozicia-emzadeba-radikaluri-winasarчевno-kampaniistvis-da-archevnebis-shemdeg-radikaluri-dghis-wesrigistvis/>

ზედგინძე, ნ. (2017) საქართველო: პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების მცდელობანი წინასაარჩევნო პერიოდებში (2012 და 2016 წლებში). ჟურნალი „პოლიტიკა“ N2. <https://psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/9>

„კოალიცია ცვლილებებისთვის“ ცესკოს პარტიული სიის ჩახსნის მოთხოვნით მიმართავს. (2024) <https://civil.ge/ka/archives/637978>

მაყაშვილი, თ. (2024) პარტიების ეთიკის კოდექსი-შეფასებები <https://1tv.ge/video/partiebis-etikis-kodeqsi-shefasebebi/>

ნაციონალური მოძრაობის პოზიციის საარჩევნო ქცევის წესებზე შეთანხმების მოწოდებებზე. 2012. <https://civil.ge/ka/archives/150740>

საქართველის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2025). საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების სადამკვირვებლო

მისია: წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

[https://admin.gyla.ge/uploads\\_script/publications/pdf/2024%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90.pdf](https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/2024%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90.pdf)

სამართლიანი არჩევნების, ჩემი ხმისა და საიას ერთობლივი შეფასება არჩევნების შესახებ. (2024). <https://civil.ge/ka/archives/637127>

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო.(2024) წინასაარჩევნო გარემოს შეფასება. <https://transparency.ge/ge/post/cinasaarchevno-garemos-shepaseba>

ტაბულა. (2012) ელჩების ჯგუფი პარტიებს ქცევის წესებზე შეთანხმებისკენ მოუწოდებს. <https://tabula.ge/ge/news/548741-elchebis-jgupi-partiebs-ktsevis-cesebze>

ტაბულა. (2024) ცესკო 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებს ქცევის კოდექსის გაფორმებას სთავაზობს. <https://tabula.ge/ge/news/722734-tsescu-26-oktombris-archevnebshi-monacile>

ცენტრალური საარჩევნო კომისია, (2024) ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები შეაჯამა <https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11035242-tsentralurma-saarchevno-komisiam-sakartvelos-parlamentis-2024-tslis-26-oktombris-archevnebi-sheajama>

ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2024) პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი 2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის. <https://cesko.ge/static/file/202409155225-etikis-kodeksi.pdf>

ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2020) 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების ანგარიში <https://cesko.ge/ge/archevnebi/2020/october-31-2020-parliamentary-elections-of-georgia/saqartvelos-parlamentis-2020-tslis-31-oqtombris-archevnebis-angarishi->

„ძლიერი საქართველო“ სადეპუტატო მანდატებზე უარს ამბობს. (2024) <https://civil.ge/ka/archives/635639>

წინასაარჩევნო გარემოს შეფასება. (2024)  
<https://www.wevote.ge/post/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90#viewer-vmg0j1134>

ISFED, ჩემი ხმა, & საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია). (2024) <https://transparency.ge/sites/default/files/86e283ca604c27f494a78f6120e78ea5bc03c098.pdf>

OCCRO (n.d.) კოალიცია ცვლილებებისთვის-გვარამია, მელია, გირჩი, დროა. <https://www.occrp.org/interactives/polit-watch/ka/parties/1/koalitsia-tsvlilebistvis-gvaramia-melia-girchi-droa>

OCCRO (n.d.) ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა. <https://www.occrp.org/interactives/polit-watch/ka/parties/4/ertianobanatsionaluri-modzraoba>

OCCRO (n.d.) გახარია საქართველოსთვის. <https://www.occrp.org/interactives/polit-watch/ka/parties/7/gakhariasaqartvelostvis>

OCCRO (n.d.) ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის. <https://www.occrp.org/interactives/polit-watch/ka/parties/3/dzlierisagartvelolelo-khalkhistvis-tavisuphlebistvis>

Goodwin-Gill, G. S. (1998). *Codes of conduct for elections*. Inter-Parliamentary Union. <https://www.ipu.org/resources/publications/reference/2016-07/codes-conduct-elections>

Norris, P. (2014). *Why electoral integrity matters*. Cambridge University Press.

Buerger, C., & Glavinic, T. (2022). *Prevent violence, strengthen democracy: Electoral codes of conduct for the United States*. *Peace and Conflict Studies*, 29(1). <https://nsuworks.nova.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1841&context=pcs>

International Institute for Democracy and Electoral Assistance (International IDEA). (1999). *Code of conduct for political parties campaigning in democratic elections*. International IDEA. <https://www.idea.int/sites/default/files/publications/code-of-conduct-for-political-parties-campaigning-in-democratic-elections.pdf>

International IDEA. (2017). *Dialogues on voluntary codes of conduct for political parties in elections: A facilitator's guide*. International IDEA. <https://www.idea.int/publications/catalogue/dialogues-voluntary-codes-conduct-political-parties-elections-facilitators>

**Natia Zedginidze**

**Issues of the Development and Effectiveness of Political Parties’  
Code of Conduct Ahead of the 2024 Parliamentary Elections in Georgia**

**Abstract**

The conduct of fair and transparent elections is a fundamental condition for the democratic development of the state and the legitimacy of its government. Electoral codes of conduct are widely regarded as instruments that promote fair competition, facilitate dialogue among political actors, mitigate conflict, and ensure that electoral campaigns are conducted in accordance with high ethical standards.

International experience demonstrates that political parties exhibit significantly greater commitment to voluntarily and mutually agreed-upon codes, a factor of particular importance in transitional democracies where the political environment is highly polarized and tense. This study examines the development and effectiveness of political parties’ code of conduct in Georgia ahead of the 2024 parliamentary elections. The research employs qualitative methods, specifically document analysis and in-depth interviews.

The findings indicate that during the conduct of election campaigns, political actors largely disregard ethical standards. In the Georgian context, the code of conduct functions as a largely ineffectual document: political parties sign it formally, yet its provisions are not implemented in practice. This situation is primarily attributable to the absence of political will and the low level of political culture.

**Keywords:** elections, code of conduct, political parties, Georgia